№IPSP-02/25/01 ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები წარმოადგენს არასრულ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ (ხელშეკრულების დანართი N1)

მზღვეველის დასახელება	სს „პსპ დაზღვევა“ (ს/კ 204545572)
დაზღვევის ხელშეკრულების სახე	სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულება
დაზღვეულის რისკის აღწერილობა და სადაზღვევო დაფარვის პირობები	განსაზღვრული ვადით საზღვარგარეთ ვიზიტის დროს დაზღვეული პირის ჯანმრთელობის გაუარესების გაუთვალისწინებელი/გადაუდებელი შემთხვევების ან უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, სამოგზაურო დაზღვევის პირობების მუხლები 2; 4 და 5
პრემიის გარდა მომხმარებლის მიერ ნებისმიერი სხვა ფინანსური ხარჯის გაწევის წინაპირობები, ოდენობა და წესი	სამოგზაურო დაზღვევის პირობები პუნქტი 8.5
ფრანშიზის სახე, ოდენობა და გამოყენების წინაპირობები	სამოგზაურო დაზღვევის პირობების მუხლი 9 : - გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება - 150 (EUR/USD); - გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება - 150 (EUR/USD) ; - გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება - 80 (EUR/USD) .
დაზღვევის გამონაკლისი, პირობების სრულყოფილი ჩამონათვალი	სამოგზაურო დაზღვევის პირობების მე-2 მუხლის შენიშვნა; პუნქტი 3.9; პუნქტი 5.6; პუნქტი 5.7; პუნქტი 6.2; პუნქტი 6.11; პუნქტი 6.14; პუნქტი 6.15; მუხლი 7;
სადაზღვევო პერიოდი (მოქმედების ვადა)	სამოგზაურო დაზღვევის პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო პერიოდის ათვლა დაიწყება პოლისში მითითებული საწყისი თარიღის 00:00 საათიდან, საქართველოს საზღვრის გადაკვეთისთანავე და ძალაშია სადაზღვევო პოლისში მითითებული დაბრუნების თარიღის 24:00 წუთამდე ჩათვლით პერიოდში.

№IPSP-02/25/01 ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები წარმოადგენს არასრულ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ (ხელშეკრულების დანართი N1)

სადაზღვევო თანხის ოდენობა	სადაზღვევო თანხის ოდენობა მთითებულია სამოგზაურო დაზღვევის პოლისში - გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების ხარჯები არაუმეტეს 5 000 აშშ დოლარი/ევრო; - გადაუდებელი სტაციონარული მკურნალობის ხარჯებს სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში. ანაზღაურდება ხარჯები არაუმეტეს 1000 აშშ დოლარისა/ევროსი საწოლ-დღეზე; - გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურების ხარჯებს (არაუმეტეს 1000 აშშ დოლარისა/ევროსი); - რეპატრიაციის ხარჯებს არაუმეტეს 5000 აშშ დოლარისა/ევროსი, ნულოვანი ფრანშიზით
ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები	სამოგზაურო დაზღვევის პირობების მე-8 მუხლი
მზღვეველთან პრეტენზიის წარდგენის ფორმები; პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წყარო; მაქსიმალური ვადა პასუხის მიღებისთვის შესაბამისი ფორმით გამოხატულ პრეტენზიაზე; მზღვეველის სტრუქტურული ქვედანაყოფი, სადაც შესაძლებელია პრეტენზიის წარდგენა;	მზღვეველთან პრეტენზიის წარდგენის ფორმა - რეკლამაცია, როგორც ელექტრონული, ასევე მზღვეველის ანაზღაურების ცენტრში შევსებული წერილობითი ფორმით. პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაციას გასცემს მზღვეველის 24/7 ასისტანსი ან ანაზღაურების ცენტრი. პრეტენზიაზე პასუხის მიღების მაქსიმალური ვადა განისაზღვრება 5 სამუშაო დღით. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია საპრეტენზიო სამსახურში და ხარისხის მართვის სამსახურში.
მითითება დაზღვევის გამონაკლისი პირობების მომწესრიგებელ მუხლებზე და იმ პირობების ამომწურავი ჩამონათვალი, რომლებიც მზღვეველის ვალდებულებებისაგან გათავისუფლების საფუძვლებს ითვალისწინებს. ასევე მითითება დაზღვევის უჩვეულო გამონაკლის პირობებზე, რომლებიც ჩვეულებრივ უცხოა მსგავსი ტიპის ხელშეკრულებებისთვის.	სამოგზაურო დაზღვევის პირობების მე-2 მუხლის შენიშვნა; პუნქტი 3.9; პუნქტი 5.6; პუნქტი 5.7; პუნქტი 6.2; პუნქტი 6.11; პუნქტი 6.14; პუნქტი 6.15

მზღვეველის საზედამხედველო ორგანო	სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“ მის: ქ.თბილისი, ლევან მიქელაძის ქ. #3; ელ-ფოსტა: info@insurance.gov.ge